

საინფორმაციო ბროშურა ეძლევა პაციენტს:

სახელი, გვარი: _____

დაბადების თარიღი: _____

ძვირფასო კოლეგავ,

ზემოთ ხსენებულ პაციენტს კარდიოლოგიური ჩივილებისა და გენეტიკური ტესტირების საფუძველზე, დაესვა ბრუგადას სინდრომის დიაგნოზი, რის გამოც გირჩევთ, რომ თავიდან იქნას აცილებული შემდეგი მედიკამენტები:

მედიკამენტები, რომლებიც არ უნდა მივიღოთ:

ანტიარითმიული*: აიმალინა, ალაპინინე, ეტაციზინი, ფლეკანამიდი, პილსიკანიდი, პროკინამიდი, პროპაფენონი;

ფსიქოტროპული: ამიტრიპტილინი, კლომიპრამინი, დეზიპრამინი, ლითიუმი, ლოქსაპინი, ნორტიპტილინი, ოქსკარბაზეპინი, ტრიფლუოპერაზინი;

ანესთეტიკები/ტკივილგამაყუჩებლები*: ბუპივაკაინი, პროკაინი, პროპოფოლი;

სხვა ნივთიერებები: აცეტილქოლინი, ალკოჰოლი (ტოქსიკურობა), კანაფი, კოკაინი, ერგონოვინი;

*რჩევისთვის ეწვიეთ: <https://www.brugadadrugs.org/emergencies/>

მედიკამენტები, რომელიც სასურველია არ მივიღოთ:

ანტიარითმიული: ამიოდარონი, ციბენზოლინი, დისოპირამიდი, ლიდოკაინი*, პროპრანოლოლი, ვერაპამილი, ვერნაკალანტი;

ფსიქოტროპული: ბუროპიონი, კარბამაზეპინი, კლოთიაპინი, ციამემაზინი, დოსულეპინი, დოქსეპინი, ფლუოქსეტინი, ფლუვოქსამინი, იმიპრამინი, ლამოტრიჯინი, მაპროტილინი, პაროქსეტინი, პერფენაზინი, ფენიტონი, თიორიდაზინი;

ანესთეტიკები/ტკივილგამაყუჩებლები: კეტამინი, ტრამადოლი;

სხვა ნივთიერებები: დემენჰიდრინატი, დიფენჰიდრამინი, ედროფონიუმი, ინდაპამიდი, მეტოკლოპრამიდი, ტერფენადინი/ფექსოფენადინი;

*ლიდოკაინის გამოყენება ადგილობრივი ანესთეზიის მიზნით (მაგ. სტომატოლოგიური ჩარევის დროს) უსაფრთხოდ ითვლება ადრენალინთან (ეპინეფრინთან) კომბინაციაში, დაბალი დოზით.

ცხელების ეპიზოდის შემთხვევაში, მიზანშეწონილია ტემპერატურის დაქვეითების პროცესში (მაგ. პარაცეტამოლის/აცეტამინოფენი-ს) მიღებისას მჭიდრო (ე.კ.გ) მონიტორინგი;

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ ზოგიერთი მედიკამენტი შეიცავს სხვადასხვა აქტიური ნივთიერების კომბინაციას, რაც ამ სიაში არსებული ან არარსებული მედიკამენტების ჩამონათვალის მიუხედავად, არ გამორიცხავს პრეპარატის უსაფრთხო ან მავნე ზემოქმედებას.

უახლესი რეკომენდაციების გაცნობის მიზნით (რა მედიკამენტები უნდა იქნას თავიდან აცილებული, ბრუგადას სინდრომის დროს) გთხოვთ ეწვიოთ ბმულს: <https://www.brugadadrugs.org/>

პატივისცემით: _____

